

ბაზეთი ღირს:		ბაზეთი ღირს:	
თვე	ბაზ. კ.	თვე	ბაზ. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

ივერი

რედაქცია:
სიკოლომის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბამად
და განცხადებათა დასაბუჯად
უნდა მიჰქონონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ. მეორეზე — 8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

**უკვლად-საგვლად ივერეთის აკისპოვების
გაბრძოლის** გზაის გალათის მონასტრის ბადასწავნა
და დაკრძალვა ღირსი თოვლაშისა და უზგოშის ბაგო 10
მარტისათვის იმგნა გადაღებული.

სასულიერო მთავრობის ნება-
ათვისით უხვდა კოვიტები გან-
სვენებულის იმერეთის ეპის-
კოპოსის გაბრძოლის სახელ-
ზე აკადემიაში სტიპენდიის (მრ-
თის ან ორის) დააკანონათვის
კარგო უფროსებათა საჭირო
ფონდის შესაბამადა. კომიტე-
ტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც
არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმი-
თაც სურთ დაამტკიცონ, — რომ მათ
გულში ცხოველ არს ხსოვნა და პა-
ტივისცემა ამ დაუფიქრებელი მოძღვარ-
მოძღვრისადმი, შემოიტანონ თავისი
წვლილი ამ წმიდა საქმისათვის. შე-
მოწირულებათა რაოდენობა შემომ-
წირველთა სიითურთ გამოცხადებულ
იქნება თავთავის დროზე ადგილო-
ბრივ გაზეთებში. შემოწირულებანი
უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:
კომიტეტის თავმჯდომარეს ქუთაის-
ის სემინარიის რექტორს არხიმანდ-
რიტს დიმიტრის.
თავმჯდომარის მკაცრ გამოცხადებას წკ-
რა დაკანონა გ. ცაგარეაშვილი.

იგი გულმოდგინეთ მისდევს ვერც
წოდებულ საკოლონიო პოლიტიკას.
ვინ იცის რამდენი მსხვერპლი, რამ-
დენი ფული, ძალა, შესწირა ამ ქვე-
ყანამ ახალშენთა მოპოვებისათვის!
ჯერ კიდევ განუმტკიცებელი, შინა-
ურობაში მოუწყობელი, ღარიბი სა-
ხელმწიფო გვერდში ამოუდგა ვერო-
პის ძლიერ და საკოლონიო პოლი-
ტიკაში გამოცდილ სახელმწიფოებს,
რათა კონკურენცია გაეწია მათთვის,
შეეძინა ახალშენები და მით აღმაღ-
ლებინა თავისი მნიშვნელობა სხვა
სახელმწიფოთა შორის. მაშინ, რო-
დესაც ინგლისისათვის, საფრანგე-
თისათვის და სხვა ამგვარ ვაჭრობა-
მრეწველობით გამდიდრებულ ქვეყ-
ნებისათვის ახალშენების მოპოვება
ბუნებრივ საჭიროებას შეადგენს, სა-
ჭიროებას, გამოწვეულს მათის ეკო-
ნომიურის ზრდითა და განვითარ-
ებით, იტალიის ამგვარი პოლი-
ტიკა მხოლოდ განვიადებული თავ-
მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად
დასჭირდა. გარდა ამისა უმრავლესო-
ბა, რომელიც ახლა მართავს იტა-
ლიას, იმის ცდაშია მუდამ, რომ
ხალხის ყურადღება შინაურ საქმე-
ბიდან გარეშე პოლიტიკას მიაქცი-

ოს...
საკოლონიო პოლიტიკას იტალია
ენერგიულად მიზიდვდა ამ რამდენი-
მე წლის წინად, როდესაც მთავარ-
მინისტრად კრისპი იყო. აუარებელის
გარდასახდით შეწუხებულ ხალხის
დრტინვამ და ოპოზიციის მედგარ
ბრძოლამ კრისპის სამინისტრო დას-
ცა, მაგრამ მალე მართვა-გამგეობა
ისევ კრისპის ჩავარდა ხელში
და იგი ისევ დაუბრუნდა სახი-
ფათო პოლიტიკას. მაშინ, რო-
დესაც გადატყველებული ხალხი რე-
ფორმებს თხოულობს, მაშინ რო-
დესაც სახელმწიფოს ფინანსები მე-
ტად ცუდს მდგომარეობაში არიან,
როდესაც თვით კრისპის ამხანაგი,
ფინანსთა მინისტრი სონინო, სასო-
წარკვეთილებით გაიძახის-იტალიის სა-
ფინანსო კეთილდღეობა დაცემულია
და მისი სულის მოპოვება მეტად
ძნელიაო, იტალიის მთავრობა თავს
არ ანებებს საშიშ გზას და ერთ ექ-
სპედიციას მეორეს ადევნებს უწყუ-
ყვეტლად!..

წაქეზებული საფრანგეთის მავალი-
თით, რომელმაც შედარებით ადვი-
ლათ დაიპყრო მადგასკარი, იტალია
იწყებს ენერგიულს ბრძოლას აბესი-
ნიასთან, რათა ეს ქვეყანა თავის პო-
ტიკატარას დაუმორჩილოს. დიდბა-
ლი ექსპედიცია იგზავნება აფრიკაში
და ეს მოულოდნელი მტერი შედის
მშვიდობიანის და თავისუფალის
ერის ტერიტორიაში და გაიძახის—
გინდა თუ არ გინდა დაგვენდით!..
იტალიის ჯარების პირველ შესევამ-
ვე საქმე სხვარიგად დაატრიალა: ვე-
როპის განათლებულ სახელმწიფოს

ჯარებს წინ გადაეღობა მოთმინები-
დამ გამოსულის ერის მამაცობა და
ნათლად აღმოჩნდა, რომ აბესინიის
დაპყრობა ადვილი არ ყოფილა.
კრისპი ჯარებს ჯარებზე გზავნის,
სარდლად ნიშნავს ცნობილს გენე-
რალს ბარატერს, მაგრამ აბესინელ-
ნი ზედ ზედ ორჯელ ძლიერ ამარ-
ცხებენ იტალიელებს და უკუგაღებენ
მათ. მაშინ ბარატერიმა მოითხოვა
კიდევ მიმშველი ჯარები, მოიკრიბა
მთელი თავისი ღონე და ამ დღეებში
ძლიერი იერიში მიიტანა მენელი-
კის ბანაკზე. ევროპა იტალიის-
თან ერთად თითქმის დარწმუნებუ-
ლი იყო, რომ ახლა-კი დამარ-
ცხდნენ აბესინელები, მაგრამ მო-
ულოდნელად მოვიდა ამბები იტა-
ლიელთა საშინელის დამარცხებისა.
ჩვენი მკითხველები წაიკოხხავდნენ
უთუოდ გუშინ-წინ დასტამბულს დე-
პეშებს აფრიკიდან, რომელთაგან ცხა-
დათ სჩანს, თუ-რა სამარცხვინოთ
დაბოლოვდა იტალიელთ უკანასკნე-
ლი ბრძოლა!..

ამ დღეებში დაიწყება იტალიის
პარლამენტის სესია. ოპოზიციის უთ-
უოდ ისარგებლებს შემთხვევით და
მოსთხოვს კრისპის ანგარიშს. თუკი
კრისპის ახლანდელს პარლამენტში
დიდი უმრავლესობა ჰყავს, მაგრამ
ქვეყანა ისე აღელვებულია აფრიკის
საქმეების გამო, რომ საკუთა კრის-
პიმ კიდევ გაიტანოს ლელო, კიდევ
ნდობა გამოუცხადონ ხალხის წა-
რმომადგენლებმა ახლანდელს სამი-
ნისტროს. ამ ჟამად იტალიის
დიდ ქალაქებში დიდ ძალი მიტინგები
იმართება, რომლებზედაც ხალხი

პროტესტს უცხადებს მთავრობას
საკოლონიო პოლიტიკის გამო. შე-
საძლებელია ამ პროტესტებს ყური
ათხოვოს პარლამენტშიც და გაჭიკ-
ხოს მთავრობა, რომელიც შინაურ
სენის განკურნების მაგიერ, ქვეყანას
დიდს განსაცუელში აგდებს თავის
საავანტიურისტო პოლიტიკით. მაგ-
რამ ისიც მოსალოდნელია, რომ აქა-
მდის კრისპის მორჩილი უმრავლესო-
ბა, დღესაც ვერ გაბედავს სიმართ-
ლის თქმას, ნდობას გამოუცხადებს
კრისპის, აღასრულებს ყოველს მის
მოთხოვნას და ამით ისევ განაგრ-
ძობს საქმეების უწყვეტო მსვლელო-
ბას, იტალიის სახიფათო კრიზისს.
ლალი.

ახალი ამბავი

*. კავკასიის საიმპერატორო სა-
მეურნეო საზოგადოების საბჭოს
სხდომამზე, 20 თებერვალს, დადგე-
ნილ იქნა: საზოგადოების ვიცე-
პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდი-
დატად წარდგენილ იქნას უგანათ-
ლებულესი თავადი პ. გრუზინსკი,
ხოლო საბჭოს წევრად ბ-ნი კოვრა-
ისკი.

*. ტფილისის საბჭოს საბიუჯე-
ტო კომისიამ, განიხილა-რა ქალაქის
გამგეობის აზრი, რომ მოსსეს გზა
უნდა იქმნას გაყვანილი ნავთლულის
გზით ქალაქის საყასომოდგო, სიქვა,
რომ ეს გზა ნავთლულზედ-კი არა,
ქალაქის მიწებზედ უნდა გავიდეს,

ტფილისი, 23 თებერვალი.

მას შემდეგ, რაც იტალია დიდ
სახელმწიფოთა რიცხვში ითვლება,

ფელეტონი

ცხოვრება და ხალხმება.

VII

მეცნიერება და სარწმუნოება *)

შარშან იანვარში ფრანგულის ცნო-
ბილის ჟურნალის „Revue des deux
mondes“-ის ფურცლებზე დასტამ-
ებული იყო წერილი იმავე ჟურნალის
რედაქტორის გამოჩენილის კრიტი-
კოსის ბრუნტერიისა. ამ წერილს
მეტად საინტერესო სათაური ჰქონ-
და: მეცნიერება და სარწმუნოება.
იგი ეხლა ცალკე ბროშიურად გამო-
იცა.

ბრუნტერიმა დაიძახა სახელი
დიდის ნიჭიერისა და მეცნიერის მწე-
რლისა. მის ნაწერს ყველა ყურად-
ღებას აქცევს მტერიცა და მოყვა-
რც, მისი მაკინებელიცა და თავვა-
ნის-მცემელიც. ზემოხსენებული წე-
რილი მით უფრო საყურადღებოა შე-
იქმნა, რომ ბრუნტერიმა ის იყო
რომი მოიარა და მისის უწმინდესობის
პაპისაგან ლოცვა-კურთხევა მიიღო.
ყველანი ელოდა რას წარმოსთქვა-

და ახალი აკადემიკოსი, რომის, ამ
კათოლიკეთა სარწმუნოების მეორე
იერუსალიმის, მოვლის შემდეგ.

ამ ნაწერმა ყველა გააოცა, გაა-
კვირა. ეს არ იქმარეს, მეცნიერების
ქურუმებმა საშინელი ალიაქოთი ას-
ტეხეს იმ ფაქტის გამო, რომელიც
ან სულ უყურადღებოდ უნდა დაე-
ტოვებინათ, ან და სხვაფრივ განე-
მარტათ. ერთის სიტყვისათვის მწე-
რლის მთელს მოღვაწეობას ზურგი
შეაქციეს და ისეთის ზარითა და ზე-
იმით მიიტანეს იერიში მასზედ, რომ
არავინ ამას არ მოელოდა მეცნიერე-
ბის წარმომადგენლებისაგან. მათი
მოქმედება უფრო ინკვიზიციის ხანას
შეგფერებდა, როცა ყოველივე,
თვით უმნიშვნელო სიტყვა ალია-
ქოთს ასტეხდა ხოლმე სარწმუნოების
„დამცველთა შორის“. მეცნიერება
საკმაოდ ძლიერია, მეცნიერებსაც
აქვსთ საკმაო გონების ძალი და რა-
ღა საჭიროა წისქვილებს არ ებრძო-
ლონ და ყოველს მათთვის არა სასი-
ამოვნო სიტყვაში, რაღაც უცნაური
გველემები არ ეჩვენებოდეთ, რომე-
ლიც შთანთქმას უპირებს მათ წმი-
დათა წმიდას.

დაიბეჭდა თუ არა ეს წერილი,
მაშინვე პასუხი გასცა გამოჩენილმა
ქიმიკოსმა, ახლანდელმა გარეშე სა-
ქმეთა მინისტრმა ბერტლომ, გამოი-

ლაშქრა ბრუნტერიის წინააღმდეგ,
ჟურნალისავე საშუალებით, ცნობი-
ლმა მეცნიერმა ფიზიოლოგოსმა და
ფსიხოლოგოსმა—რიშემ. კლემანსომ
თავის გაზეთში წყევლა-კრულვით მო-
იხსენია ავტორი ზემოხსენებულის წე-
რილისა.

ეს კიდევ ყოველივე ჩვეულებრი-
ვია, ხოლო სიცილს ვეღარ იკავებს
კაცი, როცა გაიხსენებს, რომ მეც-
ნიერებმა და საპოლიტიკო მო-
ღვაწეებმა, ლიტერატორებმა და
ჟურნალისტებმა გაუმართეს ნაღი-
მი ბერტლოს, ნადიმი, რომელ-
საც აზრად ჰქონდა საქვეყნოდ განე-
ცხადებია პროტესტი ბრუნტერიის
წერილისათვის. ნადიმზედ ბრუნტე-
რი შეჩვენებული იქნა და ექსორია
უქმნეს მას. ღმერთო, რა არ დასწა-
მეს: შესწამეს ავტორს სამშობლოს
დალატი, რესპუბლიკის მტრობა, პა-
პის საპოლიტიკო უფლებათა მოსარ-
ჩლედ მიიჩნის, მეცნიერების გაცამ-
ტვერების სურვილი მიაწერეს... და-
ინხარჯა ბევრი სიტყვა, ბევრი დრო
და უთუოდ ბევრი ღვაწოც და სუ-
ყველა ეს-კი რისთვის?

მეცნიერება გაკოტრდაო, ამბობდა
ბრუნტერი ამ წერილში, ვეღარ
აღვისრულა ის, რაც დაგვირდა,
ვერ გავგიმართლა იმედები, რომელ-
ნიც დაგვიბადა მისმა შარავანდელით

მოსილმა, ბრწყინვალე დასაწყისმა.
შეიძლება მოთხრან, არც არას დაგ-
პირებივართ და თუ დაგპირდით, კი-
დევეც შევასრულეთო; ჩვენი მეცნი-
ერება გუშინ დაიბადა და დღეს უკ-
ვე მთელი ქვეყნის, მთელი ცხოვრე-
ბის ელფერი შესცვალაო. მეო, უზა-
სუხებს ბრუნტერი, კარგად ვიცი,
რომ ბევრი რამ აღვისრულეს, მაგ-
რამ რა აღვისრულეს? მხოლოდ მე-
ხანიკური აღმოჩენებით შეუძლიანთ
დიკვეხონ ეხლანდელმა მეცნიერე-
ბმა, თორემ კაცის ცხოვრების გაუმ-
ჯობესებას, ამ ცხოვრების შინაარსის
გამოცნობას ხომ ვერ დაიხმებენო.
მეცნიერება დაგვირდა, განაგრ-
ძობს ავტორი, რომ „საიდუმლოე-
ბას“ ფარდას აგხდით, ყოველიფერს
აგხსნიით და განგიმართავთ, თქვენთ-
ვის მიუწოდებელი აღარა იქმნება-
რაო. საუბედუროდ-კი ვერ განვი-
მარტეს „საიდუმლოება“, ვერ მოს-
პეს მისი მეუფება და როგორც დღეს
გრწმუნდებით, თავისს დღეშიაც ვერ
მიღწევენ იქნამდის. მეცნიერებამ
ვერ დაგვანახვა ნათლად, როგორი
იყო დასაბამი ქვეყნისა, ვერ აგვიხს-
ნა და ვერ განვიმარტა როგორია,
ან რა არის თავი და თავი მიზეზი
ყოველიფერისა; ვერ დაგვანახვა ის
გზა, რომლითაც მიდის კაცობრიო-
ბა; ვერ აგვიხსნა კაცობრიობის ცხო-

ვრების სავანი, რომელიც ამ ცხოვ-
რების შინაარსს შეადგენს, რომლი-
საკენაც მისწრაფვის კაცობრიობა;
ვერ განვიმარტა რაში მდგომარე-
ობს და რა იქმნება მომავალი ბედ-
ილბალი კაცობრიობისა.

რა ვაყავით და რა ვაქნებოთ, აი
ორი უსაშინელესი, „დაწყველილი“
საკითხავი, რომელზედაც მეცნიერე-
ბამ პასუხი ვერ გვიგო და ვერც გვი-
გებს მომავალში. ვერ გვიგებს რომ
ვაიმობთ, სწერს ბრუნტერი, ამის
საუფუძველი მოგვცა თვით მეცნიერე-
ბის დღევანდელის მდგომარეობის
გათვალისწინებამაო. „მიუწოდებელი“
(l'inconnaissable), გამოუცნობელი
გარს გვარტყია, ჩვენი ცხოვრება მას
მოუტავს, მაგრამ ვერც ფიზიკა და
ვერც ფიზიოლოგია ვერას გამხდარან
და ვერ აუხსნიათ იგი.

დარჩენის უკვდავ შრომას მე თა-
ყვანსა ვსცემო, ამბობს ბრუნტე-
რი, ქედს ვხრია მის წინაშე,
იმის შრომას ჩემზედ უფრო აღტაცე-
ბაში იქნებ არავინ არ მოეყვანოს,
მაგრამ რა გამოვიდა ან აქედამ? ვი-
ციოთ, რომ მიიშენებისაგან მოვიდი-
ნარეობთ, უკვდა ვსთქვათ, ჩვენ და
მიიშენებს ერთი წინაპარი გვეყოლია,
მაგრამ განა ვიცით მანც რამ შექ-
მნა ეს წინაპარი, როგორი იყო იგი?
თუ ეს არ ვიცით, მაშ არც ჩვენი

*) La science et la religion F. Bru-
netiere P. 1895 წ.



რომ ამით ქალაქის მიწებს ფასი დაეღოს.

* * * სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ვარდასწყვიტა გადასცეს საფილოქსერო კომიტეტებს საკმაოდ დიდი თანხა ამერიკულ ვაზის გამოხსნადად და მევენახეთათვის დასარიგებლად. (მოსკ. ვედ.)

* * * სოფ. სომონეთი (ქუთაისის მაზრა): თოვლიანობამ ხალხს დიდი ზარალი მისცა. ახლა სხვა-და-სხვა ავადმყოფობაც გავრცელდა, კვალი, სურდო და სხვ. უკანასკნელ დღეებში ამინდი შეიცვალა, — უფრო თბილა, თოვლი ნელ-ნელა დნება.

* * * იქიდავები: ინჟინერები შეუდგნენ მუშაობას რკინის გზისას, რომელიც მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე უნდა იქნას გაყვანილი და ზიანებულის გზისა და ხიდების სანაცვლოდ.

* * * ს. კორაძანი: ჩვენც ქუთაისში მეტად გავრცელდა. იპარვენი ყველაფერს: ცხენს, ძროხას, ხარს, კამეხს, ცხვარს და სხვათ. ღამე ისე არ გავა, რომ სოფელში ვინმე არ დაიჩვიოს, წუხელ გამქურდესო. თავი და თავი ქურდები აქეთ თათრები არიან.

* * * ს. ბერთუბან-პატარძელი: ჩვენი სოფელი მეტად შეწუხებულია უწამლობისა და უექიობის გამო. მახლობელ სოფ. საგარეჯოში მართალია ექიმი არის, მაგრამ ეს სოფელი 8—9 ვერსით დაშორებულია პატარძელს და ამისათვის ბევრს მეტად უჭირდება ექიმის მოწვევა, რადგანაც თვით მოწვევა ექვის-შვიდი მანეთი უნდა დაუჯდეს და ეს-კი, ხომ ყველას მოეხსენება, გლახობა უმეტესს ნაწილს არ შეუძლიან. სოფელი-კი საკმაოდ დიდია, 500 კომლისაგან შემდგება და მოთავე რომ ვინმე გამოჩნდეს, შეუძლიანთ ერთი კარგი ფერწალი მაინც მოიწვიონ, რომ უპატრონოდ და უწამლოდ არა სწყდებოდეს ხალხი სულ უბრალო და ადვილად მოსარჩენ ავადმყოფობისაგან.

შთამოგების ამბავი ვიცით. მეცნიერებას შეუძლია აგვიხსნას პირუტყვი-ლი მხარე ჩვენის ბუნებისა, ადამიანური მხარე-კი მისთვის იგივე მიუწოდებელია. რა ვართ ჩვენ, როგორც ადამიანნი? საიღამ და როგორ გავინდა ენა, საზოგადოება, ზნეობა? ვინც კი სცადა ამ საუკუნეში ამ კითხვების გადაწყვეტა, ყველა დამარცხდა, გამარჯვებული არავინ გვიჩვენებს, ასეც უნდა იქნეს მომავალში. ადამიანი უფროდ, უზნეობოდ, გარემო საზოგადოების წარმოუდგენელია. მაშ, თუ გვიანდა ადამიანის ცხოვრება კარგად გამოვირკევით, უნდა ნათლად გვხედვდეთ, საგნებით ვიცოდეთ ენისა, ზნეობისა და საზოგადოების წარმოება, მათი შინაარსი, უამისოდ ადამიანის გავებას ვერ მოვახერხებთ. ამათი შეგნება-კი დღეს დღეობით, ხვალაც და შეიძლება დიდხანს მერმე, თუ სამუდამოდ არა, შეუძლებელია.

ცალკე-ცალკე რომ გავსინჯოთ ყოველი შტო მეცნიერებისა, იმათაც ვერეთი საყვედური ეთქმის. ფილოლოგია არის და მისი წარმომადგენლები, რომელთაც საბერძნეთისა და რომის ისტორიის შესწავლა ითავეს, დაგვირდნენ ქრისტეს მოძღვრების მთავარ-აზრებს ეპიქტეტისა და მარკ ავრელიუსის ნაწერებში აღმო-

* * * ს. საღანლო (ბორჩლოს მაზრა): 1 თებერვლიდან თითქმის 14 რიცხვამდე საშინელი არეული ამინდი იდგა აქეთ; უამინდობამ შეაყენა მუშაობა ყარსის გზაზე, რის გამოც 100 ვერსზედ მოსული მუშები თითქმის ულუკმა პუროდ სხედან მთელს გზაზედ, მით უმეტეს, რომ წვირილანი მოიჯარადრები, რომელთა ხელშიაც გადავიდა თითქმის მთელი გზა დიდ მოიჯარადრებისაგან, ნაღდად არ აძლევდენ საწყალ მუშებს ფულს, ამიტომ მუშები იძულებულნი არიან მიჰმართონ ან რკინის გზის უფროსს მთავრობას და ან პოლიციას.

ქ რ ა მ ს კ რ ე მ ე ნ ი ა .

ს. წაღნი, (ქართლი). ახლის წლის ბარკად წიგნებში, რაც შეეხებოდა ზამთარს, არა უშავდა-რა, კარგი ამინდები დაგვიდგა. ერთს კვირის შემდეგ-კი დაიწყო ნაშტრები და საქმე გაგვიჭირდა. შუაღამ კვირამ სომ თვალთ არა დაგვიხსნა-რა; თან თოვლად და თან ქარი უბერავდა, საშინელი კარბანტული იდგა. სამს დღეს საღისე სასი-დამ გარეთ ვერ გამოვიდა, საქონელი უმატრონოდ იყო დაჩენილი. ბოსტანში შესულა არას გზით არ შეიძლება, რადგან სულ გადაწვეული იყო თოვლით. ზოგმა სცადა ეგებ თოვლი გაკვრათ რთვად და ბოსტანში მივიდეთ, მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო, საღისე სასოწარკვეთილებში ხაკარდა. აღარ გვეჩვენა იქილი გადაჩენისა. ზოგი სამს დღეს მშობერი ყოფილიყო, გამომცხვარი არ შესწრებოდათ და შეშტ ვერ ეზოვანთ, რომ კანცში მაინც არის გამოცხვარი, ზოგს-კი რაც ხის აგეჟი ქვანდა არ დაეზოგნა და დაეწა. დიდი ზარალი მოგვცა ამ უამინდობამ უშუშობის გამო; საბეჭდი, სათონე, ბეჭდები, ჟანგურები სულ დაეწი; ზოგმა მუხის ოთახებში დაანგრა და დასწა. რას ვიზამდით, უშა არ შეგვეწრო და შიმშილით, ან სიცილით ხომ არ დაეზოგებოდით. ჩვენსკენ ნაშტრების დროს ბევრ და-

გიჩენთო, მაგრამ თუ ერთი ორი სიტყვა ნახეს საზარებისა ზემოხსენებულს ნაწერებში, ის მაინც ვერ აგვიხსნეს, რატომ არის რომ ქრისტეს მოძღვრებას რაღაც უფრო მომხიბვლელი ძალა აქვს?

ვერც აღმოსავლეთის ისტორიის მცოდნეთ შეგვირუთეს პირობა. უნდოდით დემეტრიკებიათ რომ ბუღიზში და ქრისტიანობა ერთი და იგივეა მაგრამ დღეს დღეობით მხოლოდ მათს არსებობას განსხვავებას უფრო დიდი საფუძველი მოუძებნეს, ასე რომ სრულიად წინააღმდეგში დავარწმუნებენ. რაიცა შეგებება საზოგადოდ ისტორიას, მართალია, ბევრი რამ გვაძემცნო, ბევრი ისეთი რამ აგვიხსნა, რაც არ ვიცოდით, მაგრამ მრავალი საგანი გამოურკვეველი დარჩა, იმიტომ-კი არა, რომ არა ჰქონოდას სურვილი მათი გამოკვებისა, არა, ვერ შესძლეს. ეს კიდევ არაფერი, უმთავრესი კითხვა: ანსებას თუ არა ისტორიული განიხილავთ გარდაუწყვეტელი დარჩა, და ვაი თუ აგრე დაჩენს სამუდამოდ. თუ არის ასეთი კანონი, რა დამოკიდებულება არსებობს ამ კანონსა და ჩვენს შორის? ჩვენი თავის ბატონი, ჩვენი მოქმედების უფალი ჩვენვე ვართ, თუ უკრ-მოკრილი მონა ვართ უღმობელისა და უძლეველის ძალისა?

იღუპს ს. საყვეთელი დრეზებით მცხოვრებული სამი იმერელი დაჩენა ნაშტრმა. ერთი კომლი ს. ტყემლავანიც ასე გაიციანს სჯავმა. საზოგადოებას დაწესებულია ოჯახის შეიკვრა. ეს ოჯახი ექვსის სულისაგან შედგებოდა—მამით, დედით, ორს კაცით და ორს ქალით; სამი კაცის სხვა სოფელელები, რომელნიც ამ დროს იქ იყვნენ შეიხსნენ, ისინიც სჯავმა დაიტანა და წუთი-სოფელს გამოასაღმა. მეორე ოჯახის შემადგენელი იყო. ეს ოჯახი შედგებოდა ოთხი კაცისაგან, მათგან ერთი კაცი იყო მამა, ორი კაცი ვაჟი და ორი ქალი. მათგან ერთი კაცი იყო მამა, ორი კაცი ვაჟი და ორი ქალი. მათგან ერთი კაცი იყო მამა, ორი კაცი ვაჟი და ორი ქალი.

მოსუცხვლები ამბობენ, რომ მომსწრები არა კანთ ამნაირ წყლიანადსა. მართლაც არის. იქ, სადაც ესეა სჯავი ჩამოწვა, თავისს დღეში სჯავი არა-ვის ასსოვს.

ჟერ გზა არ არის გასუფი, მასკლამოსკლავა არ არის, თორემ ამბობენ ბევრი იქმნება ნაშტრების დროს დაღუპულია.

ეს რამდენიმე დღეა რაც გამოიდას და ჟერ კიდევ საქონლის გზა არ გასუფა.

საღისე იქილი აღარ აქვს, რომ გასაფხულზედ სენა-თესვა შესაძლებელი იქნება.

შემოდგომის ნათესა ხომ ნიაღვრმა გადავიხილა, გასაფხულზედაც რომ ვერა ვთესოთ, თქვენი მტერი, ჩვენი საქმე იქნება.

ალექსანდრე დავითაშვილი.

ნარკვევი (ქურთალ-გაზეთებიდან).

როგორც ვახეთ ენოვ. ობოზ. მის კორესპონდენტი იუწყება ქუთაისის სასამართლოს აზ. ბეს. ტ. ლორდქიფანიძისა და შორაპნის მაზრის გამოძიებულის ბნის გრაბოვსკის საქმის შესახებ 14 თებერვლის ამა წლისას გარდაუწყვეტია: ჩამოარა-

აქვს რაიმე აზრი ჩვენს ისტორიულს ცხოვრებას, თუ ისტორია არის მხოლოდ არეულ-დარეული და აწეწილ-დაწეწილი რამ? ისტორია და სხვა-და-სხვა შტო ამ მეცნიერებისა მხოლოდ დუმილით გვიგებს პასუხს ამბებზედ. მართალიც რომ ვსთქვათ, დიდად თავიც არ ვაიტყვებ ისტორიკოსებმა, როცა იგრძენს, რომ ეს საგანი ძნელი გამოსარკვევია. თითქო ასურელნი ანუ ზენდნი იმიტომ შეუქმნია განგებას, რომ საფრანგეთის და გინდ გერმანიის უნივერსიტეტის პროფესორებს ლექციების ტემა ექმნეთ.

ყველა ეს ნუ თუ არ ამტკიცებს, რომ მეცნიერება ვაკატრდა, თუ მთლად არა, ნახევრად მაინცო, დასძენს ავტორი... უნდა ვსთქვათ, რომ არ ვიცით რა იქმნება ასის, ათასის, ანუ ორი-ათასის წლის შემდეგ; ჩვენ დღევანდელს დღეზედ ვლახარაკობთ და ვამბობთ, რომ კაცის გონება ისეთივე სუსტია „მიუწოდებლის“ გამოსაცნობად, როგორც უწინ. ჩვენ ვსტყვი ვიცით, რომ თუმც ამ ასი წლის ვანმავლობაში „მეცნიერებას“ უნდოდა „სარწმუნოების“ ადგილი დაეჭირა, მაგრამ ჯერ-ჯერობით საწადელს ვერ მიადწია, დიდი ხანიც, ძალიან დიდი ხანიც ვაივლის ვინემლის მიადწევდეს. მან ვერ შესძლო

თვას ყოველგვარი უფლებები ლორდქიფანიძესა და ტობოლის გუბერნიამი გაგზავნოს საცხოვრებლად.

ლორდქიფანიძეს, ასე 22—23 წლ., ჰბრალდებოდა, ვითომ განზარახვა ჰქონოდას ბ-ნი გრაბოვსკი მოეკლა. საქმე ასე ყოფილა, როგორც თვითონ კორესპონდენტი იუწყება:

წარსულის წლის 12 ნოემბერს, წყალდიდობის შემდეგ, როდესაც ხიდი წყალმა წაიღო, ლორთქიფანიძე და მასთან სხვა ყმაწვილი კაცები ქორწილში წასვლას აპირებდნენ და ბორანის გამოსვლას უცდიდნენ მდ. ყვირილას ნაპირზედ. ლორთქიფანიძეს მსურდა მალე ასულიყო ბორანზე და მოსტურა თუ არა ნაპირზედ, მაშინვე წყალზედ მიდგმულ ფიცარზედ შეხტა. ამ დროს ბორანიდან გადმოვიდა ბ-ნი გრაბოვსკი თვასის ცოლით და მანა-ხარა, რომ ლორთქიფანიძემ გზა გაუღობა, გავლა არ შეიძლებოდა, სთხოვა გზა მიეცა; ლორთქიფანიძემ თხოვნა არ შეასრულა და გზა არ დაუტალა. მაშინ გრაბოვსკიმ ჯოხი (საკმაოდ დიდის ტანისა) მოიმარჯვა და ბ-ნს ლორთქიფანიძეს თავში დაუშინა, შემდეგ ხელი ჰკრა, წყალში გადააგდო და თვითონ-კი გზას გაუდგა. მანა-ხარა ლორთქიფანიძემ, რომ იგი შეურაცხვეს, გრაბოვსკის უკან გამოედგნა, რომ მაგიერი გადაეხანდა. მაგრამ გრაბოვსკიმ მალე მოიგერა ლორთქიფანიძე, რადგანაც ღონე საკმაოდ შესწევდა. ლორთქიფანიძე ახლა-კი მიხვდა, ხელით ვერას გაეწყობოდა და ხანჯალს იტაცა ხელი, მაგრამ გრაბოვსკი მარჯვედ სწვდა მჯავში და დაიჭირა.

როგორც კორესპონდენტი სწერს, ლორთქიფანიძეს უარი უთქვამს, მე სრულიადაც არ მქონია განზარახვა გრაბოვსკი მომეკლაო და ხანჯალიც ჩხუბის დროს თვითონ გრაბოვსკიმ ამამართლო, რაიცა დაამტკიცეს ზოგიერთმა მოწამებმა. მაგრამ სასამართლოს ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, შეუწყნარებია ჩვენება შორაპნის განყოფილების მოსამართლისა და თარჯიმანისა, რომელთაც გრაბოვსკის სასარგებლოდ წარუდგინათ ჩვენება და ბრალდებული გაუმტყუვნებიათ.

საკვირველია და გაუგებარი, ვითომ რატომ უნდა ჰქონოდა უპირა-

პასუხი ეგო იმ კითხვებზედ, რომელნიც ყველაზედ უფრო აშფოთებენ, აღელვებენ და ეინტერესება კაცობრიობას. ამიტომაც არც მეცნიერებას საზოგადოდ და არც ერთს მის შტოს აღარა აქვს ნება მოითხოვოს უპირატესობა ჩვენი ცხოვრების მართვა განგებაში. ეხლა ცხოვრებაში რევოლიუცია ხდება, თუ გინდათ ევოლიუციის ახალს ხანაში შევედითო. ამის დასამტკიცებლად საქირაო უკანასკნელი ათის წლის ნაწარმოები განიხილოთ. რასაკვირველია, განაგრძობს ავტორი, არა მრწამს რომ ახალ-ბუღისტებმა, ახალ-კათოლიკებმა და ქრისტიან-დეკადენტებმა ცხოვრება გარდაქმნან; დიდს არას მოველი „მისტიკებიდან“ და „სიმბოლოსტებიდან“ და კარგად ვიცით, რომ იგინი მოდას უფრო მისდევნენო. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩაუკვირდებით ცხოვრებას, კარგად განიხილავთ თვით ამ მოვლენებს, დანიხნავთ, რომ ახალი ცხოვრება იწყება. აზრი ახალს გზას ადგება. ეს-კი იმაში იხატებაო, რომ მეცნიერებამ თავისი დიდი პრესტიჟი დაკარგა, ხოლო სარწმუნოებამ თავისი დაკარგული სახელი ცოტათი არის მაინც აღიდგინა.

ამ ახალს მოძრაობაში საპატიო ადგილი უჭირავს რომის პაპს ლეონ XIII-ეს,

ტესობა ორის მოხელის ჩვენებას და რისათვის უნდა ყოფილიყო იგი აუცილებელი სიმართლე, როდესაც ეს უპირატესობა დიდი ხანია მოსპობილია. საკვირველია მით უფრო, რომ მზეზი მოქმედებით პირველად გრაბოვსკის მიუცია, რომელიც იქნება უფრო მეტად უნდა გაფრთხილებულიყო, როგორც სასამართლოს ნაწილის მოხელე.

იმერეთის თავად-აზნაურობა მეტად ცუდს მდგომარეობაშია ნიციერის მხრით. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიუქცევია ყურადღება ამისათვის და ვრცელი წერილით მიუმართავს გუბერნიის მარშლის თ. წერეთლისათვის. ამ წერილში მეტად საინტერესოა სტატისტიკური ცნობები მოყვანილი იმერეთის თავად-აზნაურობის შესახებ. სამხედრო გუბერნატორისაგან შეკრებილის ცნობები-დამა სჩანს შემდეგი:

რიცხვი თავად აზნაურთა ქუთაისის მაზრაში: თავადი: 664 კაცი და 637 ქალი, სულ ორთავე სქესის 1301; აზნაური: 5513 კ. და 5152 ქალი, სულ 10.665. შარხანის მაზრა. თავადი: 165 კ. და 132 ქ., სულ 297; აზნაური: 5848 კ. და 5257 ქ., სულ 11.105. რაჭის მაზრა: თავადი: 116 კ. და 109 ქ., სულ 225; აზნაური: 2321 კ. და 1894 ქ., სულ 4215. ჯეჩხუმის მაზრა: თავადი: 228 კ. და 212 ქ., სულ 440; აზნაური: 2016 კ. და 1813 ქ., სულ 3829. სეგის მაზრა: თავადი: 382 კ. და 331 ქ., სულ 714; აზნაური: 3934 კ. და 3352 ქ., სულ 7286. ყუგდიანის მაზრა: თავადი: 473 კ. და 462 ქ., სულ 935. აზნაური: 2850 კ. და 2554 ქ., სულ 5404. ოზურგეთის მაზრა: თავადი: 84 კ. და 65 ქ., სულ 149; აზნაური: 2529 კაცი და 1986 ქალი, სულ 4515. ხოლო სულ ყველა ზემოხსენებულს შეიღ მაზრაში ითვლებოდა თავადი 2113 კ. და 1948 ქ., სულ 4061, აზნაური-კი 25.011 კ. და 22.008 ქ., სულ 47.019 სულ თავად-აზნაური—

განაგრძობს ავტორი, მან შეიგნო დიდი დანიშნულება სარწმუნოებისა, ვაიგო წადილი და სულის კვეთება ეზლანდელის კაცობრიობისა და თავის ტახტიდან განაცხადა აღმსარებლობისა, მომხიბვლელი და ნამდვილი მშობლიური სიტყვები. სამი დიდებული საქმე გააკეთაო პაპმა და ამით კათოლიციზმს დიდი პრესტიჟი მოუპოვა ხალხის თვალში, სარწმუნოების აზრც განახორციელა და სიზოვადობრივი მნიშვნელობა მისცა მას.

1891 წლის პაპის ეპისტოლეში სამოქალაქო მთავრობის შესახებ შემდეგი სიტყვები ეწერა: „ეკკლესიას არა აქვს არავითარი საფუძველი, არ აღიაროს სამართლიანად რომელიმე მთავრობა, გინდ ერთი კაცისაგან შესდგებოდეს იგი და გინდ რამოდენიმესაგან, ოღონდ-კი ყოველივე მთავრობა ხალხისათვის სასარგებლო იყოს. ხალხს ვერავინ ვერ აღუკრძალავს, როგორც სურს ისეთი მმართველობის შემოღებას. მის სურვილზედ არის დამოკიდებული აღიარების ისეთი მართებლობა, რომელიც უფრო ეწყობა მის ნაცოინალურს ხასიათს, მის ისტორიულს ტრადიციას და ზნე-ჩვეულებას.“ ამგვარად კათოლიციზმის უმაღლესმა წარმომადგენელმა უარ ჰყო ის შემცდარი აზ-

51.080.

რიცხვით მრავალს თავდაზნაურობას ძალიან ცოტა მიწა აქვს. 1893 წელს შვედების ცნობილად სიანს, რომ იმერეთის თავდაზნაურობის 9240 მემამულე ყოფილა, რომელთაც ჰქონიათ 815.376 დესეტინა მიწა, 75% მემამულეთაგანს ე. ი. 6970 თავდაზნაურობაგან თითოეულის ადგილ-მამული არ აღემატებოდა 19 დესეტინას, 22% (2009 მემამულეს) თითოეულს ჰქონია 19—380 დესეტინამდის და მხოლოდ 3% ანუ 261 მემამულეს 380 დესეტინაზე მეტი თითოეულს.

Table with columns for land area (დესეტინა) and population (სულ მამული). Rows show data for various land categories and total figures.

1894 წელს იმემა მემამულეთა რიცხვი ისევ 9240 დარჩა, მაგრამ იმდენი დესეტინა აღარ ჰქონიათ საერთოდ: 815,376 დესეტინის მაგიერ დარჩა 814,744 დეს., რადგანაც 632 დეს. გადავიდა სხვა წოდებათა ხელში, განსაკუთრებით გლეხებთან.

რი, რომლითაც გამსჭვალული იყვნენ მისი წინანდელი წარმომადგენელი, — მხოლოდ მონარქიული მთავრობა არის ღვთისაგან ნაკურთხი და მისი სასურველი, — და აღიარა სულ ერთია სარწმუნოებისათვის რანაირი მმართველობაც იქნება, ოღონდ-კი ხალხის სულიერი და ქონებრივი მოთხოვნილება დაკმაყოფილოსო. 1892-ში პაპმა გაუგზავნა ეპისტოლე საფრანგეთის ეპისკოპოსებს და აქ უკვე პრაქტიკულად აღასრულა ის, რაც უწინ მხოლოდ აზრად გამოსთქვა. იგი უბრძანებდა საფრანგეთის სასულიერო წოდების უმაღლესს წარმომადგენელს:

„დაემორჩილეთ რესპუბლიკას ე. ი. იმ მთავრობას, რომელიც თქვენს ქვეყანაში არსებობს; პატივი ეციეთ და იყავით მისი ერთგული მსახურნი, როგორც წარმომადგენელი საღმრთო ძალისა.“

ხელში. 1889 წლიდან 1895-დის გლეხებმა შეიძინეს 15,957 დესეტ. ნოტიარისში დამტკიცებულ აქტებით. გუბერნატორი მიაქცევს რამარშლის ყურადღებას ასეთ მდგომარეობაზე თავდაზნაურობა უჩრევს, რომ მომავალ კრებაზე განიხილონ რა საშუალებები იხმარონ ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თავის მხრით-კი უჩრევს სხვა-და-სხვა პროფესიონალურისა და სამეურნეო სასწავლებლების დაარსებას. უჩრევს ეხლანდელი სათავად აზნაურო სკოლა გადააკეთეთ სამეურნეოდ ან დაუმატეთ სამეურნეო და პროფესიონალური განყოფილებანი. პირველ მოწყობისთვის რაც ფული დასჭირდება ამგვარ სკოლებს თვით თავდაზნაურობამ უნდა გამოიღოსო, ხოლო წლიურ ხარჯში შეიძლება ხანდახან მთავრობა დაეხმარათო. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მეტად სექცოდ მიგვაჩნია, რომ მარტო ამ ზომებმა გამოიყვანოს იმერეთის თავდაზნაურობა ამ საშინელი კრიზისიდან.

უცხოეთი

ინგლისი და ოსმალეთი. ინგლისის ეურნალ-გაზეთებს მოჰყავთ ამბავი, რომელიც „ტიმს“-ში იყო დაბეჭდილი და შეეხებოდა იმას, რომ სულთანის განზრახვა აქვს ბრიტანიის მთავრობასთან მოლაპარაკება გამართოს ეგვიპტის საქმის გარდასაწყვეტადო.

„მორნ. პოსტ“-ის აზრით, რუსეთს და საფრანგეთს განზრახვა აქვთ წინადადება წარუდგინონ ინგლისს ეგვიპტეში ჯარები გაიყვანოს და სულთანს იანხმობას აცხადებს დიპლომატიურ ზრდილობის გამო ამ საქმეში უშუალოდ გასწიოს.

„მინც ეს ძალიან საყურადღებოაო, — ამბობს გაზეთი. — არაფერი არ არის აქ გასაკვირველი, რომ ტრეკების დასაფარავად. ეს მფარველობა მთავრობისა გამოიხატება მასში, რომ ბედ-შავი მუშები უნდა გამოგლიჯონ ხელიდან იმ ჩარჩებსა და სპეკულიანტებს, რომელნიც კაცსა და მაშინას ერთად უყურებენ და სისხლსა სწოვენ, რათა თავიანთი ხარბი სურვილი დაიკმაყოფილონ. ვინც თხოულობს სხვისაგან ისეთს მუშაობას, რომელიც სულიერად სტანჯავს, ხორციელად სისხლს უშრობს და ყოველ ძალსა და ღონეს უსაბოზს კაცს, იგი ღვთის წინააღმდეგი არის. მის მოქმედებას გულგრილად ვერ უყურებს ის, ვისაც სწამს სიმართლე და ადამიანობა.“

რუსეთმა თავის აზრს მიიღწია და ახლა თავის მოკავშირე სახელმწიფოს ეხმარება. ეს ორი სახელმწიფო ინგლისს სრულიად განმარტოვებულად სთვლიან და ამისათვის საჭიროა მეგობრები მოსძებნოს, თუ-კი სადმე მოეძებნებინათ. ინგლისის ბედი ეხლა იმაზე დამოკიდებული — რას იტყვის და როგორ გარდასწყვეტს საქმეს ლორდი სოლსბერი.“

„სტანდარტი“ ამტკიცებს, რომ მართლა აღიძრა ხსენებული საგანი და ამბობს, ერთი კვირის წინააღმდეგ ევროპის ყველა კაბინეტებს, თვის დროზე დაიწყო ეგვიპტის საქმის ასე თუ ისე განხილვა, თუ არაო.

„დაილი ტელეგრაფ“-ი რუსეთთან დახლოებას უჩრევს ამ საქმის შესახებ. „ჩვენ ვერავითარს მიზეზს ვერ ვხედავთ, — ამბობს გაზეთი, — რომელიც ინგლისისა და რუსეთის მეგობრობას ხელს უშლიდესო. ამ ყაზად მათ არავითარი საბუთი არა აქვთ, რომ ერთმანეთის უკმაყოფილონი იყვნენ. ის მოსაზრებანი, რომელნიც უწინ აკავშირებდნენ ინგლისს ოსმალეთთან, ეხლა აღარ არსებობენ. ოსმალეთმა თვითონ მისცა მიზეზი და პასუხის მგებელიც იგივე იქნებაო.“

იპრონია. იპრონიას ექვის თვალთ თურმე უყურებენ ბერლინიში. ტყუილიაო ვითომ იპრონიას ჰსურდეს მშვიდობიანობა დაიკვას. ამიტომაც არავის არ გაუკვირდა, როცა ბერლინიში გაიგეს, რომ გერმანიის ესკადრამ წყნარ ოკეანეში მიიღო ბრძანება იპრონიისაკენ წადი და დარჩი იპრონიის წყლებში იგლისის თევდისაო. ამბობენ, რომ საფრანგეთის ესკადრა წყნარ ოკეანეში გაძლიერებულ იქნება.

ბულგარია. „ტიმს“ სწერენ სოფიიდან: ორი კვირის შემდეგ პრინცი ფერდინანდი საზღვარ-გარედ წავა და ვიზიტს გაუკეთებს სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა მთავრობას. თავილი ჯერ კონსტანტინოპოლში და

სობრძენ იყოს მიზეზი, იქნებ უნდა შეიძინოს ახალი და ძლიერი გუნდი მორწმუნეთა. მაგრამ ეს ჩვენთვის სულ ერთია. ჩვენთვის იმასა აქ დიდი მნიშვნელობა, რომ ეხლანდელი ბას ზურგი არ შეაქცია და ლეონ XIII-ემ, გაიგო ღრმა აზრი დღევანდელის ცხოვრებისა და მიუცილებლად იცნო ამ აზრის საშახური. მართალია ბრუნეტერი, როცა პაპის მოღვაწეობას დიდის თანაგრძნობით იხსენიებს. მაგრამ ის-კი მეტის მეტი და გაუგებარია, რომ ამ მოქმედებით გატაცებული ავტორი მართლმორწმუნე კათოლიკედ გარდაქმნილა, როგორც შემდეგი დავინახავთ.

„იმას-კი ნურავინ იფიქრებს“, განავრძობს ბრუნეტერი, „რომ ჩვენ შეცნიერება განვადგევით და მსხვერპლად შევსწიროთ სარწმუნოებასა. ჩვენ არაფრისთვის არ გავსწირავთ და არავის დავუთმობთ ჩვენის აზრის დამოუკიდებლობას“. ჩვენ არა გვგონია, რომ ზოგიერთ სფეროში მეცნიერებას შეეძლოს სარწმუნოების აღგელი დაჭიროს, მაგრამ ნაცვლად სარწმუნოებასაც არა აქვს ნება მეცნიერების საქმეში ჩაეროს და ხელი შეუშალოს მასაო. მეცნიერებამ დაამტკიცა თავისი უძლეურობა ქვეყნის დასაბამისა და დასასრულის გამოკვეთაში, ამიტომაც ადგილი დარჩა

პეტერბურგში წავა, შემდეგ ბერლინიში, ვენაში, პარიზში და რომში. თავის წაწყება ბ. სტანჩევი. ამბობენ რომ თავადის ფერდინანდის მიერ მართლ-მადიდებელი სარწმუნოების მიღება გარდაწყვეტილია.

საზრანგეთი. სამხრეთ საფრანგეთშიაც წელს მეტად სუსხიანი ზამთარია. თითქმის ყველგან თოვს და ყინვაც არის. თვით მარსელშიაც თოვლი მოსულა და ყინვა 2° ასულა. ზამთრის უჩვევი ხალხი ცუდს მდგომარეობაშია.

შურნალ-გაზეთები და წიგნები

ამოკრებილი ამბები. — ამას წინა დღეებში მკითხველებს, რომ თვალის გუგავზე, ანუ, უკედ ვთქვათ, თვალის ბაღებზე (сѣточка) აღიბეჭდება ხოლმე ისა თუ ეს საგანი, რომელიც ადამიანს, ანუ პირუტყვს უნახავს სიკვდილის წინაღ. ისიც მოვასწინეთ, რომ ერთს დედაცა ეს ერთს თვალის ბაღებზე ერთი ცოფირი ჰქონდა აღბეჭდილი და მეორეზე მეორე ეხლა ფრანგულს გაზეთს გამოუცხადებია ნაცალი ერთის მეცნიერისა, რომელიც ცოტად თუ ბევრად ამტკიცებს თვალის ამნაირს უნარს და თვისებას. იგი მეცნიერი ჯინგლს როჯერსია. იმას აუღია შილინიგი (ინგლისური ფული) ზედ მიუყენებია ფანჯრილამ შუქი ასე, რომ ძალიან გაუნათებია ერთის წუთის განმავალაში ამ ნაირად განათებულ ფულისათვის გაშტერებით უცქერია.

აზრად ჰქონია, რომ ამ გზით თვალის ბაღებზე აღბეჭდოდა იგი ფული. მეტი ჩამოუფარებია ფანჯარა, საიდანაც შუქი ყოფილა, ყვეთელის ფარდითა, ფული თავისი ადგილიდან აუღია და თვალის ძლიან მეტად მიუპყრია ფორტოგრაფიულ ფირფიტისათვის (платинка), ფიქრად საზე ფულისა ჰქონია გონებაში. 43 წუთი გასულა და ფირფიტის ნამდვილად და უკლებლად თვალისა და გადულია გამოხატულობა ფულისა. მისი უღია ფოტის მარჯვენ სანის მოწმის თანდასწრებით. როჯერს უცქერია მარჯისათვის ერთი წუთი. მეტი მარჯა აუღია, მარჯის მაგიერ დაუღია ფორტოგრაფის ფირფიტა და ოცი წუთი უცქერია. თუმცა თვალისა ფირფიტაზე მარჯა კარგად არ გადაღებულა, მაგრამ იმდენად-კი დასწინევი, კაცმა გული დააჯეროს, რომ თვალის გუგავ, ანუ ბაღ მართლა ზედ აღბეჭდავს

რწმუნებას ზე-შთაგონების ძალისადმი. სარწმუნოება, ხომ მოგვხსენებათო, დამტკიცებაზედ არ არის დამყარებული. მეცნიერებასა დას არწმუნოებას თავიანთი საკუთარი სფერა აქვთ, სადაც განცალკევებულად მოქმედებენ. ესევე არ შეიძლება ითქვას სარწმუნოებისა და მორალის შესახებ. ვე. შერერისა არ იყოს, მორალისათვის, ხეიოანისა და რიგიანის მორალისათვის მიუცილებელია აბსოლიუტო: იგი დაუსრულებელი კეთილისაკენ მისწრაფის, თავისს საფუძველს იძიებს გარეშე იმ ქვეყნისა, რომლის გამოცნობა და შეგნება ჩვენ ხელთ არის; იგი მხოლოდ ღვთაებაში ჰპოებს თავისს მტკიცე საფუძველს.

მე იმას არ ვხეხებო, ამბობს ავტორი, ყოფილა ოდესმე თუ არა უზნეოპრივი სარწმუნოება და ანუ მორალი, რომელსაც სარწმუნოებასთან კავშირი არა ჰქონდადეს. არც ის ვიცო, შეიძლება თუ არა ოდესმე მავალში დაარსდეს მორალი, რომელსაც სარწმუნოებასთან არავითარი საქმე არ ექმნება... დღეს-დღეობით საინტერესო და საყურადღებო ის არის, რომ მორალიცა და სარწმუნოებაც, უკეთუ ერთმანერთთან არავითარი კავშირი აღარა აქვთ,

საგანს და ცოტა თუ ბევრს ხანს იხანავს აღბეჭდილსა ასე; რომ ფორტოგრაფიით-კი გადაღება აღბეჭდილია. (პ. ი. ლ.).

— კიდევ და კიდევ ამერიკა! სხვა ამისთანა ქვეყანა ტყუილია. აი ეხლაც რა უნდაუარი რამ მოუფიქრათ. დენფერში, კოლორადოში ორ ვერსტ ნახევარ მანძილზე ტრამვაი (კონკა) დადის. ეს გზა ერთის თავიდან რომ აღმართია, მეორედამ, რა თქმა უნდა, თავთავე იქნება. ამ გზაზე დადის ტრამვაი ცხენისა. ტრამვაი, როგორც მოგვხსენებთ, თავთავე თავისთავად მოსრიალბს რკინის რელსებზედ და ცხენები ამ შემთხვევაში ტყუილ-უბრალოდ მოჩაკავენ და ილღებიან. მოხერხებულს ამერიკელს აქაც თავისი არ დაუშლია, უფიქრია, რა საჭიროა, რომ თავთავე ტყუილ-უბრალოდ ველავე ცხენებსა, როცა უმათოდაც კარგად წავა ტრამვაი თავის-თავად. აუღია ტრამვაიზე პატარა ვაგონი მუჯირით მიუბამს და როცა ტრამვაი თავთავე მიდის, ცხენებს იმ მუჯირში აყენებენ და მსხდოთა და ცხენებს ერთად მოაქაბებს ტრამვაი. როცა უკან ბრუნდება ტრამვაი, ესე იგი, როცა აღმართია, მაშინ ცხენებს აბმენ და ისე მიარბენენ ტრამვისს. ცხენები ძალიან მალე ეჩვევიან თურმე ამისთანა ჯამბავს და ხეივნით თავისს სინარულს აცხადებენ ხოლმე, როცა მუჯირში ჩადგომის დრო მოაღწევსო. (პ. ი. ლ.).

— მეტი არ იქნება ვიცოდეთ, როგორ უნდა მოიხრინოს კაცმა სიცივისაგან დაზრული ასო ტანისა, მით უფრო, რომ ამისი ახალი წამალი მეტად იფიქა და ადვილად გასაკეთებელი, როგორც ირწმუნებოდა მეცნიერ-კანი. უნდა აიღოთ სიცივის ეკალი, ნემსებსავით რომ აქვს, ორი სამი საათი ჰხარშოთ, მეტი ფრთხილად გადმოსწოროთ ნახარში და სიცივით დაზრული ასო შიგ ჩაწყით დღეში სამჯერ. უნდა უფრთხილდეთო, რომ ნახარში არც ცივი იყოს, არც ცხელი, ისე ნელ-თბილი უნდა. ნახარში უნდა გვეტიროთ დაზრული ასო არა ნაკლებ მეოთხედი საათი. (პ. ი. ლ.)

— შირად თვალად სულ უბრალო საქმეს დიდი ჰირო და ბორბოი მოაქვს, ბევრი რამ იმისთანა ჩვეულება, რომ ისე თითქო არაფერია, მაგრამ დიდი უბედურება-კი მოსდევს. მაგალითებ, შირად იციან ნამეტნადელ ქალებმა საყვარელ გოშვიდის ქალსა. ეხლანან ბუდაპეშტში (უნგრეთის ქალაქი) ერთი უბედურება მომხდარა ამისაგან. ერთი ვიდაც გამზრდელი (გუვერნანტა) ყოფილა სახელად კაროლინა ვოლბემენ. უბედური გადაცვილია და მიზეზი სიკვდილისა ვერავის ვერჯავაო. ჯერ ჰგონებიათ მოუწამლეთო და როცა გაუტყრიათ, უნახავთ, რომ საღვიძლე სავეს ჰქონია მუცლის-ჭიები-

სუსტდებიან, ვეღარ იჩენენ საკმაო ძლიერებას და ვეღარ ახერხებენ თავიანთი მთავარი აზრის განხორციელებას. „მორალი აღარაფერი აღარ არის თუ სარწმუნოებრივი არ არის“, ამბობს იგივე შერერი, „და სარწმუნოებრივად ხომ რაღა დაგვრჩება, თუ მორალი მოაშორეთ“.

მალე ორი ათასი წელიწადი შესრულდება, რომ სცილიობენ შექმნან მორალი გარეშე სარწმუნოებისა, მაგრამ ვერას გახდენენ. ამგვარი მორალი მხოლოდ დამახინჯებული ან და მარტო გარეგანად შეცვლილი ქრისტიანებრივი მორალია. აი-ღეთ ეხლანდელი ფილოსოფოსების მორალი. ტენი სცილიობდა მისი საფუძველი მეცნიერებაში მოენახა, კაცის ბუნების პირუტყვობაზედ დაემყარებია იგი. ჩვენი ბუნება მხეცურიაო, ჩვენი ცხოვრების აზრია ამ მხეცობის ჩვენი ბუნებრივად განძეგება და ადამიანობის დამკვიდრება, მაგრამ ეს ხომ ქრისტიანობის აზრია. ჩვენ ჩამომავლობით (ოდვი-ღნი ვართ, ამბობს ეს სარწმუნოება, და მთელი ჩვენი ცხოვრება უნდა მოვანხაროთ ამ ცოდვის მონანიებას, მისგან თავის დახსნასაო.

კიტა. (დასასრული ხედა).

